

**ფარული თვალთვალი და პირადი მონაცემების დაცვა:
მთავარი გამოწვევა**



24 მაისი, 2013

ფარული თვალთვალი და სატელეფონო მოსმენები – სტატუსკვო

შესავალი

სახელისუფლებო ორგანოების წარმომადგენლების მიერ ჟურნალისტის დისკრედიტაციის მიზნით მისი პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოკადრების გამოქვეყნებამ კიდევ ერთხელ დაგვანახა, თუ რამდენად დაუცველია საქართველოში პირადი ცხოვრების საიდუმლოება და პირადი მონაცემები.

მისასალმებელია, რომ მთავრობამ ამ საქმის გამოძიება დაიწყო. დაკავებულია შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე, ხელისუფლებამ კი პირობა დადო, რომ პირადი ცხოვრების ამსახველი ვიდეოკადრების არქივს გაანადგურებს. ეს არქივი, სავარაუდოდ, ბოლო წლებში საჯარო პირების დისკრედიტაციისა და შანტაჟის მიზნით შეიქმნა. თუმცა, აუცილებელია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობასთან დაკავშირებულ სხვა სისტემატურ დარღვევებზე ყურადღების გამახვილებაც, რადგანაც პირადი ხელშეუხებლობა დემოკრატიული საზოგადოების საწინდარია. ჟურნალისტები, ისევე როგორც სხვა პროფესიის წარმომადგენლები, დარწმუნებულები უნდა იყვნენ, რომ მათი ელექტრონული კომუნიკაციის საიდუმლოება დაცულია. სისტემატური მიყურადება ზღუდავს სამოქალაქო თავისუფლებებს, მათ შორის მედიის თავისუფლებას.

„შავი ყუთები“ სისტემატური მოსმენებისთვის

- შინაგან საქმეთა სამინისტროს ახლაც აქვს დამონტაჟებული ე.წ. „შავი ყუთები“ მსხვილი სატელეკომუნიკაციო კომპანიების სერვერებზე.
 - „შავი ყუთების“ მეშვეობით სამართალდამცავ ორგანოებს სატელეკომუნიკაციო სისტემით განხორციელებული ყველა კომუნიკაციის მოსმენა შეუძლიათ.
 - სატელეკომუნიკაციო კომპანიების წარმომადგენლებზე დაყრდნობით, ჩვენთვის ცნობილია, რომ სახელისუფლებო ორგანოებს ერთდროულად 21,000 მობილური ნომრის მოსმენა შეუძლიათ.
 - მოსმენა პირდაპირი წვდომის შედეგად ხორციელდება. სამართალდამცავ ორგანოებს კომპანიების დახმარება არ ესაჭიროებათ.
 - მიგვაჩნია, რომ მოქალაქეთა კომუნიკაციაზე უწყვეტ წვდომას სახელისუფლებო ორგანოები ბოროტად იყენებენ. ამასთან, მოსმენებზე არ ხორციელდება საკმარისი ზედამხედველობა სასამართლოს მიერ.

სასამართლოს ზედამხედველობის არარსებობა და სამართალდამცავი ორგანოებისა და სადაზვერვო სამსახურების ანგარიშვალდებულების დაბალი დონე ქმნის იმის დიდ საშიშროებას, რომ საკომუნიკაციო მონაცემებზე პირდაპირი წვდომისას ხდება



USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE



IREX
Make a Better World

ძალაუფლების ბოროტად გამოყენება და რომ ადგილი აქვს ჟურნალისტების, სამოქალაქო საზოგადოების აქტივისტების, პოლიტიკოსებისა და ბიზნესის წარმომადგენლების საქმიანობისა და კომუნიკაციების მონიტორინგს.

კანონის თანახმად, ფარული თვალთვალი და მიყურადება მხოლოდ მოსამართლის ნებართვით არის ნებადართული, თუმცა მოსამართლეები, როგორც წესი, არ არიან ინფორმირებულნი გამოძიების დეტალების შესახებ და მათ არც ფარული მიყურადების შედეგების შესახებ აცნობებენ. წარსულში მოსამართლეები, ხშირ შემთხვევაში, ბრმად იძლეოდნენ ფარული თვალთვალისა და მოსმენების შესახებ პროკურატურის განაცხადებზე ნებართვებს. უცნობია, რამდენად აქვს ამას კვლავაც ადგილი.

უკვე წლებია შინაგან საქმეთა სამინისტროს და მასზე დაქვემდებარებულ ოპერატიულ-სამძებრო დეპარტამენტს ანგარიშვალდებულების პრობლემა გააჩნია. როგორც აღმოჩნდა, სადაზვერვო სამსახურების საქმიანობაზე პარლამენტის მხრიდან დე-ფაქტო არანაირი ზედამხედველობა არ არსებობს. ამან შექმნა ისეთი გარემო, სადაც სამართალდამცავი ორგანოები და სადაზვერვო სამსახურები – ან ამ ორგანიზაციებთან დაკავშირებული ადამიანები, პოლიტიკურად მოტივირებულ უკანონო თვალთვალსა და მიყურადებაში იყვნენ ჩართულნი.

- საზოგადოებისთვის კარგადაა ცნობილი შემდეგი საქმეები:
 - გაზეთ „ბათუმელებისა“ და მე-9 არხის ჟურნალისტები არალეგალურად განხორციელებული მოსმენების შედეგად შანტაჟის მსხვერპლნი გახდნენ;
 - 2012 წლის დეკემბერში ფარული ჩანაწერების მეშვეობით თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის თანაშემწე დააშანტაჟეს;
 - 2012 წლის სექტემბერში YouTube-ზე კოალიცია „ქართული ოცნების“ წევრების ფარულად ჩანერილი სატელეფონო საუბრები გავრცელდა;
 - 2012 წლის ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებისა და ბიძინა ივანიშვილის ოჯახის წევრების კომპიუტერებში ვირუსული პროგრამების საშუალებით შეიჭრნენ, რის შემდეგაც მათი პირადი ფოტოები გამოქვეყნდა.

საქართველოს კომუნიკაციების მარეგულირებელ კომისიაში შინაგან საქმეთა სამინისტროს, როგორც ჩანს, მუდმივი წარმომადგენელი ჰყავს. შსს-ის წარმომადგენელი მარეგულირებელი კომისიის საქმიანობაში ნაკლებად ერევა, თუმცა აქტიური კონტაქტი აქვს კომისიის თანამშრომლებთან და ფლობს ინფორმაციას მათი სამსახურებრივი მოვალეობების შესახებ. ეს ზრდის მარეგულირებლის სამუშაო პროცესზე ზეგავლენის მოხდენის საფრთხეს. კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისია დამოუკიდებელი ორგანოა და მის საქმიანობაში ჩარევა აკრძალულია.

რა უნდა გაკეთდეს: დახვეწილი ზედამხედველობის მექანიზმები და მეტი გამჭვირვალობა

ზედამხედველობა

- **სამართალდამცავი ორგანოები:** მთავრობამ უნდა შექმნას ზედამხედველობის ძლიერი მექანიზმები, რომელსაც სამართალდამცავი ორგანოების მიერ განხორციელებული ფარული თვალთვალისა და მონაცემთა შენახვის პროცესზე გამოიყენებს. ზედამხედველობის ეს მექანიზმი საკმარისი რესურსებითა და აღმასრულებელი ხელისუფლებისგან დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხით უნდა სარგებლობდეს.
 - სასურველია პერსონალურ მონაცემთა ახალი ინსპექტორისა და მისი ოფისის მანდატის გაზრდა, რათა მან მოიცვას როგორც კრიმინალურ გამოძიებასთან, ასევე ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული შემთხვევებიც.
 - პერსონალურ მონაცემთა ინსპექტორის ოფისში დასაქმებულ იურისტთა გუნდს შესაძლოა მიენიჭოს ნებისმიერი შემოსული განაცხადის, სამართალდამცავი ორგანოების მიერ ხელმეორედ განხორციელებული თვალთვალისა და შეჩერებული ზედამხედველობის შემთხვევების შესწავლის მანდატი და გარკვეულ შემთხვევებში თვალთვალის პროცესის მონიტორინგის შესაძლებლობა.

- **დაზვერვა:** პარლამენტმა უნდა უზრუნველყოს სადაზვერვო სამსახურების საქმიანობაზე შესაბამისი ზედამხედველობა და საფუძველი ჩაუყაროს ანგარიშვალდებულების ახალ კულტურას. შესაძლოა, საპარლამენტო კომისიას მიენიჭოს სადაზვერვო სამსახურების ზოგადი საქმიანობის, მათ შორის თვალთვალისა და მიყურადების, მონიტორინგის განმახორციელებლის როლი.

მონაცემთა შეგროვება

შინაგან საქმეთა სამინისტრომ სატელეკომუნიკაციო კომპანიების ინფრასტრუქტურულიდან უნდა ამოიღოს მისთვის კუთვნილი *შავი ყუთები*. მოქალაქეების საკომუნიკაციო მონაცემებზე პირდაპირი და შეუზღუდავი წვდომის არსებობა საფრთხეში აგდებს სასამართლოს დამოუკიდებელი ზედამხედველობის შესაძლებლობას მოსმენებზე/მიყურადებაზე და ქმნის უფლებამოსილების გადამეტების რისკს.

- სამართალდამცავ ორგანოებს მონაცემებზე წვდომა მხოლოდ სასამართლო ნებართვის მიღების შემდეგ უნდა მიეცეთ (გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა). სასამართლო ნებართვა კონკრეტულად უნდა განსაზღვრავდეს, თუ რა სახის ინფორმაციაზე გაიცემა წვდომა; მასში მოცემული უნდა იყოს პირის ვინაობა, ტელეფონის ნომერი და დროის შუალედი, რაზეც გაიცემა თვალთვალის ან მიყურადების ნებართვა. ამასთან, თვალთვალის შედეგად მოპოვებული ინფორმაცია უნდა აღირიცხებოდეს, რათა თავიდან იქნეს აცილებული უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტები.
- მთავრობამ სამეთვალყურეო საქმიანობა მობილური ქსელის ოპერატორებსა და ინტერნეტპროვაიდერებს არ უნდა დაავალოს. საჭიროა მონაცემთა მოპოვების პროცესთან დაკავშირებით კონსულტაციების გავლა როგორც ოპერატორ კომპანიებთან, ისე მარეგულირებელ კომისიასთან და სასამართლოსთან. კონსულტაციების გზით საჭიროა შემუშავდეს ფარული თვალთვალისა და მიყურადების პროცედურა, რომელიც სრულად შეესაბამება კანონმდებლობას და დაცული იქნება მონაცემთა სისტემატური და თვითნებური შეგროვებისგან.

გამჭვირვალობა

- იუსტიციის ან შინაგან საქმეთა სამინისტრომ, საკუთარი ინიციატივით, რეგულარულად უნდა გამოაქვეყნოს ზოგადი ინფორმაცია სამართალდამცავი ორგანოების მიერ განხორციელებული სამეთვალყურეო საქმიანობის შესახებ. კერძოდ: იმ საქმეების ოდენობა, რომელთა ფარგლებშიც განხორციელდა თვალთვალი და მიყურადება, სასამართლოს მიერ გაუცემელ ნებართვათა ოდენობა, ფარული მეთვალყურეობის სხვადასხვა სახეები და მათი ხანგრძლივობა, იმ პირების ოდენობა, ვისაც შეეხო თვალთვალი და მიყურადება, სისხლის სამართლის კოდექსის ის მუხლები, რომლებსაც უკავშირდებოდა ასეთი საქმიანობის განხორციელება.
- შინაგან საქმეთა სამინისტრო უფრო ღიად უნდა საუბრობდეს მთავრობის მიერ საკომუნიკაციო მონაცემების შეგროვების შესახებ. საზოგადოებას აქვს უფლება იცოდეს, რა სახის მონაცემები და რა პერიოდით გროვდება და ინახება სახელისუფლებო ორგანოების მიერ.

პროგრამა G-MEDIA USAID-ის მეშვეობით გადმოცემული ამერიკელი ხალხის დახმარებით ხორციელდება. კონფერენციაზე გამოთქმული მოსაზრებები „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ ეკუთვნის და აშშ-ის მთავრობის, USAID-ის ან IREX-ის პოზიციას არ გამოხატავს.